



ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

ქალაქი ახალციხე

N 9

27/03/2020

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებზე გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის „დ.გ.“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის მე-6 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების გამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერს, უსასყიდლო სარგებლობით, პირდაპირი განკარგვის წესით - თხოვნებით, მომართვის საფუძველზე, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება: სპეცტექნიკა ISUZU NLR (გამოშვების წელი 2014, ფერი თეთრი, სატრ.საშ.საიდენტ. ნომერი NNANLR5JH02000160, სარეგისტრაციო ნომერი QN762NQ) სამსახურეობრივი საჭიროებიდან გამომდინარე, გადასცეს ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს.
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მეზღვილის ქ. N62).

გელა ნოზაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

